რა არის სექსუალური შევიწროება?

სექსუალური შევიწროება არის არასასურველი, სექსუალური შინაარსის მქონე ნებისმიერი ქმედება. ეს ქმედება მოიცავს: სექსუალური ხასიათის კომენტარებს, უხამს ხუმრობებს, მიშტერებას, სტვენას, ტელეფონის ნომრის ან შეხვედრის დაჟინებულ მოთხოვნას, რომელიც უარის შემდეგაც გრძელდება; ასევე სხეულზე შეხება უნებართვოდ და გენიტალიების ჩვენება.

სექსუალური შევიწროება შეიძლება, მოხდეს ყველგან:

- ✔ სამუშაო ადგილას;
- ✔ საჯარო სივრცეში: ქუჩა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მიწისქვეშა გადასასვლელი ა.შ.
- ✔ სერვისის მიღების დროს: რესტორანი, სალონი, აუზი, კინო ა.შ.

სექსუალური შევიწროების მსხვერპლი თავს გრძნობს შეურაცხყოფილად, დამცირებულად, უხერხულად, დაუცველად. სექსუალური შევიწროება ადამიანში შესაძლოა, იწვევდეს შიშს და ბრაზს. გარემო, სადაც სექსუალურ შევიწროება მოხდა, იქცევა მტრულ გარემოდ და ადამიანი ცდილობს, გაერიდოს მას.

სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილას

სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროება შეიძლება, განხორციელდეს უფროსის ან კოლეგის მხრიდან. სექსუალური შევიწროება გამოიხატება სექსუალური შინაარსის არასასურველ კომპლიმენტებში, ხუმრობებში, პორნოგრაფიის ჩვენებაში; უფროსის მხრიდან სექსუალური ურთიერთობების მოთხოვნა დაწინაურების ან სამსახურიდან არგაგდების სანაცვლოდ. სექსუალური შევიწროების მოგერიება განსაკუთრებით რთულია, როდესაც ის ხორციელდება უფროსის მხრიდან, რადგან არასასურველ შემოთავაზებებზე უარის თქმა სამსახურის დაკარგვის რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

სექსუალური შევიწროების მსხვერპლი

სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი. თუმცა, სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ყველაზე ხშირად ხდებიან სხვადასხვა ასაკის ქალები, მათ შორის, მოზარდი გოგონები. 2014 წლის კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 45% აცხადებს, რომ განუცდია სექსუალური შევიწროების სხვადასხვა ფორმა თბილისის მეტროში.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ:

1. პატივი ვცეთ სხვა ადამიანებს და მათ პირად სივრცეს, თუ ადამიანს არ სურს გარკვეულ ურთიერთობაში შემოსვლა, ნუ დავაძალებთ;
2. გავუზიაროთ სხვებს ჩვენი სექსუალური შევიწროების ისტორიები და გამოცდილებები, თუ როგორ გავუმკლავდეთ ასეთ ქმედებებს;
3. უპასუხოდ არ დავტოვოთ სექსუალური შევიწროების შემთხვევა! აუცილებელია, მოვიგერიოთ ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური შევიწროება და მივუთითოთ ადამიანს მისი ქმედების სიმძიმეზე;
4. ჩავერიოთ, როცა ვხედავთ, რომ სხვას სექსუალურად ავიწროებენ.

სექსუალური შევიწროება ადამიანის უფლებების დარღვევაა. სექსუალური შევიწროება ცუდად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და აიძულებს მას, შეცვალოს საკუთარი ქცევა, ჩაცმულობა, ან საერთოდ მოერიდოს საჯარო სივრცეებს, რაც მკვეთრად აუარესებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს.

თუ საჯარო სივრცეში სექსუალურად გავიწროებენ, მიმართეთ პატრულს!

პოლიციის ცხელი ხაზი 112

სექსუალური შევიწროების შემთხვევაში კონსულტაციისათვის მოგვმართეთ "საფარს" ნომერზე 2 307 603

Safari / საფარი



სექსუალური შევიწროება აკრძალულია